ლიდერი მოსწავლეები და ემოციური ინტელექტის თეორია

ავტორი მანანა ბოჭორიშვილი

ყოველი წარმატების ისტორია უნიკალურია. მრავალ მათგანს განსაკუთრებული გარემოებები უძღვის წინ, ზოგი შემთხვევა კი პარადოქსებითაა აღსავსე. წარმატების თეორიის მკვლევრები მოკლედ და ლაკონურად ამბობენ:

წარმატების მისაღწევად ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია:

* ინტელექტი;

* მიზანდასახულობა;

* სწორი ხედვა;

* სიმტკიცე.

ამრიგად, ინტელექტი და მასთან ერთად განათლებაც წარმატების აუცილებელი პირობაა. ეს სადავო არ უნდა იყოს. თუმცა ისტორია არცთუ ისე განათლებულ ლიდერებსაც იცნობს. რა ხდება? ამას მეცნიერება ემოციური ინტელექტით ხსნის.

“ემოციური ინტელექტის” შესახებ საუბარი ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გახშირდა. ემოციური ინტელექტის თეორიის ავტორი დანიელ გოლმანი აღნიშნავს: ინტელექტი, მიზანმიმართულობა, სწორი ხედვა, სიმტკიცე ლიდერობისთვის აუცილებელია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

მოდი, საკლასო ოთახებში შევიხედოთ... შესაძლოა, მოსწავლე იყოს განათლებული, ინტელექტუალური, ადვილად აკავშირებდეს მოვლენებს ერთმანეთთან, პოულობდეს გამოსავალს რთული სიტუაციებიდან, აზროვნებდეს სტრატეგიულად, იყოს მიზანმიმართული და მტკიცე გადაწყვეტილებათა მიღებისა და განხორციელებისას, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიოს იმ წარმატებას, რასაც სხვები აღწევენ. კლასში ხშირად ხდება, რომ “კარგი მოსწავლეები”, რომელთაც აქვთ ლიდერისთვის საჭირო ყველა თვისება, ვერ ხდებიან ქარიზმული ლიდერები და პირიქით, “ნაკლებად პერსპექტიული” მოსწავლეები ნამდვილ ლიდერებად იქცევიან.

რით შეიძლება დაეხმაროს მასწავლებელი მოსწავლეს, გახდეს ლიდერი ანუ როგორია ლიდერობის პედაგოგიკა?

კვლევებსა და ემოციური ინტელექტის კონცეპტებზე დაყრდნობით **გოლმანი** აღნიშნავს: გარდა ინტელექტისა, მიზანდასახულობისა, სწორი ხედვისა და სიმტკიცისა, ნამდვილი ლიდერობისთვის აუცილებელია, მოსწავლე ფლობდეს ემოციური ინტელექტის ხუთ ძირითად უნარს. თითოეული მათანის განსავითარებლად შესაბამისი აქტივობებია საჭირო. განვიხილოთ სქემა, რომელშიც უნარების შესაბამისი მეტაფორული აქტივობებიცაა მოცემული

ემოციური ინტელექტის ხუთი ძირითადი უნარი	**შესაბამისი მეტაფორული აქტივობა**
1. თვითშემეცნება	**“შეიცან თავი შენი“**
2. თვითრეგულაცია	**“ნუ დაემონები სურვილებს“**
3. მოტივაცია	**“მოტივაცია“**
4. ემპათია	**“გაუგე სხვებს“**
5. სოციალური უნარ–ჩვევები	**“სოციალიზაცია“**

1. “შეიცან თავი შენი”
მნიშვნელოვანია, ლიდერი კარგად იცნობდეს საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს, დანამდვილებით იცოდეს, როგორ ეცვლება ხასიათი, რას უნდა ელოდეს ამა თუ იმ შემთხვევაში თავისი თავისგან და აცნობიერებდეს თავის მთავარ მოტივატორს. ასევე, კარგად ესმოდეს, რა გავლენას ახდენს გარშემო მყოფებზე.
ადამიანი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი პლუსები და მინუსები და სწორად აფასებს თავის შესაძლებლობებს, წესისამებრ, მეტად არის დარწმუნებული საკუთარ თავში, შეუძლია, ზუსტად განსაზღვროს, რა ხელმისაწვდომია მისთვის და რა – არა. ეს მას სწორი კურსის აღებაში ეხმარება. აქედან გამომდინარე, წარმატების შანსიც მეტი აქვს.

2. “ნუ დაემონები სურვილებს”
გოლმანის აზრით, ლიდერს უნდა შეეძლოს რაციონალური განსჯა და გააზრებული მოქმედება. ის არ უნდა ემორჩილებოდეს ემოციებს და ცივი გონებით იღებდეს გადაწყვეტილებას.
მოსწავლეები, რომლებიც სკოლიდანვე სწავლობენ ემოციების სწორ მართვას, იღებენ გააზრებულ გადაწყვეტილებებს საკუთარი შესაძლებლობების გაანალიზების შემდეგ, ცივი გონებით და არა ემოციურ ფონზე. ასეთი მოსწავლე უფრო სანდოა ურთიერთობისას, უფრო გახსნილია და მზად არის ახალი იდეებისა და ორიგინალური გადაწყვეტილებების მისაღებად, რადგან უკეთ შეუძლია ამა თუ იმ წამოწყების პოტენციალისა და მასთან დაკავშირებული რისკების დანახვა და სამომავლო კურსის განსაზღვრა.

3. “მოტივაცია”
მოტივაცია წარმატების აუცილებელი პირობაა. ლიდერების მოტივაცია თითქმის არასოდეს განისაზღვრება მხოლოდ შეფასებისას მიღებული ქულებით. რა თქმა უნდა, მაღალი ქულები და საზოგადოებრივი სტატუსი ნაწილია იმ სიკეთისა, რაც წარმატებას მოსდევს, მაგრამ ნამდვილი ლიდერისათვის მოტივაცია სხვა რამ არის: სიყვარული იმ საქმისა, რომელსაც აკეთებს, ახალი და

უმჯობესი გზების პოვნის სურვილი ამა თუ იმ ამოცანის ამოსახსნელად, სტერეოტიპების დანგრევის მოთხოვნილება და ა.შ.
ლიდერებს, რომელთაც აქვთ ძლიერი მამოძრავებელი ემოცია და სჯერათ, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მიზანს მიაღწევენ, როგორც წესი, უფასდებათ მიზნის ერთგულება და აღწევენ იმას, რისიც თავიდანვე სჯეროდათ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ გამოიჩინონ მოქნილობა სიტუაციისა და ახალი შესაძლებლობების მიმართ.
ძლიერი მოტივაციის მქონე მოსწავლეს ვერც დამარცხება აშინებს, ის ჯიუტად განაგრძობს დასახული მიზნისკენ სვლას. წარმატებული ლიდერის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ესეც არის – ყოველი დაცემის შემდეგ წამოდგეს და საბოლოოდ მყარად დადგეს ფეხზე.

4. "გაუგე სხვებს"
ლიდერს, გარდა საკუთარი თავისა, კარგად უნდა ესმოდეს სხვისიც, ხვდებოდეს, რას გრძნობს იგი და შეეძლოს მის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა. ის არ შემოიფარგლება საკუთარი თავით – ფიქრობს იმაზეც, როგორ შეხვდებიან მის გადაწყვეტილებასა თუ ნაბიჯს გარშემო მყოფები. ეს უნარი ეხმარება ლიდერს როგორც ახლო მეგობრებთან, ისე არსებულ და მომავალ სოციუმთან გრძელვადიანი, ღირებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

5. "სოციალიზაცია"
გოლმანი სოციალურ უნარ-ჩვევებზეც ამახვილებს ყურადღებას. ნამდვილ ლიდერს უნდა შეეძლოს გარშემო მყოფთა მოხიბვლა, ახალ თუ ძველ ნაცნობებთან კონტაქტში ადვილად შესვლა. არსებული და შეძენილი კონტაქტები აუცილებელი პირობაა შემდგომი წარმატებისთვის. ვინაიდან ყველა ადამიანი უნიკალურია და საკუთარი ღირებულება აქვს, ნამდვილი ლიდერი ხვდება, რომ ადამიანური რესურსი, მასთან დასაქმებული პირი იქნება ეს თუ მისი სოციალური წრის წევრი, აუცილებელია, რათა მომავალში კარგად წარმართო საქმე.
გარშემო მყოფებთან კარგი ურთიერთობის გაბმის უნარი ლიდერს საშუალებას აძლევს, ბევრი ახალი რამ გაიგოს, რაც საბოლოოდ შესაძლოა შთაგონების წყაროდაც ექცეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ნაცნობების საშუალებით ადვილად მიაღწიოს იმას, რასაც სხვები გაცილებით მეტ ხანს და რესურსს მოანდომებდნენ.

ეს **ხუთი თვისება,** რომლებსაც გოლმანი გამოყოფს, საბოლოოდ ნამდვილად ქმნის ძლიერი, წარმატებული ლიდერის სახეს და ხაზს უსვამს მის თვისებებს, თუმცა, როგორც ყველგან, აქაც არის გამონაკლისები, უმეტესად – მაშინ, როდესაც ხდება გარემო პირობების ისეთი თანხვედრა, რომ უნიკალური თვისებების ადამიანები ახერხებენ მოერგომ მათ და წარმატებას მიაღწიონ.
საინტერესოა, რომ ემოციური ინტელექტის დონე/ხარისხი გონებრივი ინტელექტის საზომი ტესტებით არ დგინდება. ამ თეორიის თანახმად, წარმატებისთვის მაღალი დონის ემოციური ინტელექტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაღალი დონის ზოგადი ინტელექტი.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ლიდერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორი რამ:

1. გახსნილი გონება;
2. მოქნილობა, მიესადაგოს გარემოს და შეძლოს მისი საუკეთესოდ გამოყენება დასახული მიზნის მისაღწევად.

ამასთან, მიზანი მოსწავლისთვის ძლიერი მოტივატორი უნდა იყოს, რათა ის ბოლომდე დაიხარჯოს და არც ერთი შესაძლებლობა არ გაუშვას ხელიდან. სწორედ ისეთი მოსწავლეები აღწევენ ყველაზე მეტ წარმატებას, რომელთაც შეძლეს მორგებოდნენ არსებულ სიტუაციას და ფაქტობრივი შესაძლებლობა კარგად გამოიყენეს. შესაძლებლობა კი ყოველთვის არსებობს; საჭიროა მხოლოდ მისი სწორი კუთხით დანახვა, მერე კი დასახული მიზნისკენ სწრაფვა.